საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

ყოველდღიური გაზეთი

ამიერკავკასიის ფედერაციის ცენტრალური კ. თბილისის კომიტეტის და ხრეულად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრ. №24, მეორე სართული. რედაქციაში საქმის ზეპირ მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—74 (მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. №24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49. ხელისმოწერის ფასი: მუშა-ბრალმდებელ 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ადგილზე 2 მ. რიგში—1 მ. 20 კ., ხელისმოწერა მიიღება „ბრიგადასა“ და „მეცნიერება და ტექნიკაში“. განცხადებანი: ნომერში ერთ სტრიქონი—20 კ., ფასიანი ცოდნებისა—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. ... კომუნისტების დაკარგვა 50 კ. განცხადებ. ... ეროვნ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისა და კლასთა ბრძოლისათვის

ამხ. კუკის სიტყვა ბერლინის პროლეტარიატის მასიურ კრებაზე

ჩემ თვის არ არსებობს სამშობლო.—არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ მე შემთხვევით ინგლისში დავიბადე.—სამშობლოზე მაღლა მე ჩემი კლასისათვის სამსახურს ვაყენებ და კასუხისმგებელი ვარ მხოლოთ ინტერნაციონალური მუშათა კლასის წინაშე.—მოახლოებულ კაპიტალისტურ მსოფლიო ომს საერთაშორისო პროლეტარიატმა უნდა უპასუხოს მსოფლიო ომით კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ

როგორი ბელადები ესაჭიროება მუშათა კლასს

ჩემთვის პირადათ და როგორც ინგლისის სამთომადნო მუშების წარმომადგენლისათვის დიდი პატივია, როდესაც საშუალება მეძლევა ვილაპარაკო ბერლინის მუშების ასეთ მასიურ კრებაზე, მაგრამ მარტო ლაპარაკი არ გვეყოფა. ერთად მუშაობა, ერთად ბრძოლა შეადგენს უალრეს აუცილებლობას უახლოეს მომავლისათვის.

კაპიტალისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ განზრახა დაუბატაკ მუშებს ჩემი პიროვნების ყალბი სურათი. არა ხრიკებით და წვერების ნებასურვილების ფეხ-ქვეშ გათელით, არამედ ინგლისის სამთომადნო მუშათა საერთო სურვილით შევიქენი მე ერთხმად არჩეული სამთომადნო მუშათა კავშირის გენერალურ მდივნად.

მაღაროებში 20 წლის მძიმე მუშაობის იშვიათ თავისუფალ საათებში მე ვსწავლობდი კარლ მარქსის ნაწერებს და გავიგე, რომ მუშების ყოველი ბედაღის მოვალეობას შეადგენს ემსახუროს მუშათა კლასს ვაბატონებულ კლასებთან ყოველგვარ კომპრომისების გარეშე.

ოფიციალურათ მე ვმუშაობ ინგლისის სამთომადნო მუშათა კავშირისათვის 6 წლის განმავლობაში. როდესაც ხოჯესი, ყოფილი გენერალური მდივანი, არჩეული იქნა პარლამენტში, როგორც მუშათა პარტიის დეპუტატი, სამთომადნო მუშებმა განაცხადეს:

„ჩვენთვის საპვროა ჩვენ წარმომადგენლათ ისეთი ამხანაგი, რომელიც ჩვენთან ერთად სცხოვრობს ჩვენ სულისკვეთებას ინაწილებს და არ გაებმება საპარლამენტო მახინაციების ქსელში“-ო.

ხოჯესი მოხსნილ იქნა და მის ადგილზე 1924 წლ. აპრილში ერთხმად ამირჩიეს მე. ამ დროიდან მე ვხელმძღვანელობ სამთომადნო მუშებს და ვსცდილობ ყველასათვის აშკარა გავხადო ის აზრი, რომ პროლეტარიატისათვის უფრო გამოსადეგია მოქმედება, ვიდრე სიტყვების რახა-რუხით უმოქმედობის დამალვა.

სწორეთ გერმანიაში გერმანიის პროფკავშირების ბელადები გაიძახიან, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ სამშობლოს ინტერესებისათვის ისინი ეუბნებიან მუშებს:

„თქვენ უნდა გაადიდოთ სამუშაო დღე და დაკმაყოფილდეთ ნაკლები ხელფასით; ეს საჭიროა სამშობლოს აღდგენისათვის“-ო.

ინგლისშიაც რეფორმისტებისაგან ესმოდათ და ესმით მუშებს ამგვარი სიტყვები. მაგრამ ინგლისის მუშებმა თანდათან რწმუნდებიან, რომ საჭიროა თავიდან მოიშორონ ასეთი „ბელადები“.

ჩვენ ვეკითხებით: „რა მოგვცა ჩვენ სამშობლომ?

რა გამოვიდა კაპიტალისტების და რეფორმისტების დაპირებებიდან, რომელსაც ისინი იძლეოდენ 1914, 1918 და 1919 წლებში და დღევანდლამდე? არაუერი! იცავდნენ და იცავენ მხოლოდ კაპიტალისტების ინტერესებს. მუშები—ეს ზარბაზნების ხორცი წყალულ ომში—კიდევ უფრო მეტად იყვლიფებიან, ვიდრე წინათ.

როდესაც 1914 წელს, მე ერთ პატარა ჯგუფთან ერთად ვმუშაობდი ომის წინაღმდეგ, ჩვენ ვერ შეკავეთ მასები უფსკრულში გადავარდნისაგან. მით უფრო მეტი ენერგიით უნდა ვიმუშაოთ ჩვენ ამ ჟამად.

მოახლოვ ებულ კაპიტალისტურ მსოფლიო ომს საერთაშორისო პროლეტარიატმა უნდა უპასუხოს მსოფლიო ომითვე კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგ.

ჩემთვის სამშობლო არ არსებობს.

მე ვეკუთვნი ინტერნაციონალურ მუშათა კლასს და ვარ პასუხისმგებელი მხოლოდ მის წინაშე.

მდგომარეობა გერმანიაში

1921 წელს, ჩვენი სასტიკი დამარცხების წელს, ჩვენ კიდევ გერმანიისკენ ვიცქირებოდით. ჩვენ ვფიქრობდით გვესწავლა რამე გერმანელებულ, დისციპლინიან, დარაზმულ გერმანელ მუშებისაგან, მაგრამ ჩვენ მოვსტყუდით. არა ჩინეთის და ინდოეთის დაბეჩავებული მუშები და საბრძოლო-აფრიკის შავკანიანი მუშები წარმოადგენენ ჩვენთვის საფრთხეს, არამედ გერმანიის მუშები არიან, რომ თავისი უმოქმედობით ხელს უწყობენ ევროპაში დაბეჩავებული კოლონიალური მუშების ცხოვრების პირობების შექმნას.

საცხოვრებელი მინიმუმი, რომლითაც კმაყოფილდებიან გერმანელი მუშები, წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს მთელი მსოფლიო მუშებისათვის.

ბჭირათ გაგვიგონია ჩვენი მწარმოებლებისაგან:

„შეხედეთ გერმანიას. იქ ისინი მუშაობენ 8—9 საათი მიწის ქვეშ, 10—12 საათი საფეიქრო და ლითონის მრეწველობაში; ისინი ჭყიდიან თავის ხაშაო ძალას უფრო იაფად, ვინაიდან მათ ესმით თავიანთი სამშობლოს საპიროებანი. ნუ თუ თქვენ, ინგლისის სამთომადნო მუშებს, არ გსურთ მიბაძოთ გერმანელ მუშასო“.

არასოდეს ინგლისის და გერმანიის პროფკავშირთა წევრების რეგოლიუციონური თანამშრომლობა

*) მოგვყავს ამას წინეთ ტელეგრაფით მოკლეთ გადმოცემული ამხ. კუკის სიტყვა უფრო ვრცლათ, როგორც ის გამოქვეყნებულია „როტე ფანე“-ს 31 აგვისტის №-ში. თავის მეთაურში გაზეთი სწერს სხვათა შორის შემდეგს: „არასოდეს არ სმენია ბერლინის პროლეტარიატს ამსტერდამის პროფკავშირების არც ერთი ბელადისაგან ისეთი გამანადგურებელი განაჩენი გერმანელ ამსტერდამელების ნაციონალური თვალსაზრისით წარმოგებული ფუსაფუსი პროფესიონალური მეშრობის შესახებ, როგორც ეს მან გაიგონა კუკის პირიდან“. რ ე დ.

ოქტობრის პროკურორის რეპლიკა

ვიტოსმა პრესაში გაილაშქრა ყირიმის წინააღმდეგ, უწოდა რა მას „მეამბოხეთა“ ყრილობა. ვიტოსი დაემუქრა მემამულეებს, რომ თუ მათ განაგრძეს წინააღმდეგობის გაწევა, გლეხობა სხვანაირი ენით დაუწყებს მათ ლაპარაკს. ბოლოს ვიტოსი იმუქრება გლეხთა რეფოლიუციით და მემამულეების დამხობით.

ბელმწიფოს. ბოლოს პროკურორმა მოითხოვა ლანცუკისათვის 3 წლის საკატორღო მუშაობის მისჯა.

დამცველი ბრეიტერი ამტკიცებდა, რომ ლანცუკის გამოსვლა წარმოადგენდა დეპუტატის მოვალეობის ასრულებას და რომ კონსტიტუციის ძალით იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაისაჯოს, მიუხედავათ სიტყვის შინაარსისა. ბოლოს მან აღნიშნა, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება დასაჯოს ლანცუკი და მოითხოვა ბრალდებულის გამართლება.

მეორე დამცველმა ლანდაუმ მხარი დაუჭირა ბრეიტერის დასკვნებს, ვრცელი ანალიზი გაუკეთა პოლიციელების ჩვენებებს და სავსებით გაამათილა პროკურორის მოსაზრებანი.

მესამე დამცველმა ტურანმა აღნიშნა, რომ ლანცუკი არ უნდა დაისაჯოს კომპარტიის წევრობისათვის, რადგან ამ ბრალდებას უკვე იხილავდა ნაციონ მსაჯულთა სასამართლო პერემიშლში, სადაც ლანცუკი გამართლებული იქნა; ამის შესახებ ის იმყოფებოდა ციხეში, ასე რომ ახალი დანაშაულის ჩადენა მას არ შეეძლო.

პროკურორის რეპლიკის და დამცველთა პასუხის შემდეგ თავმჯდომარემ უკანასკნელი სიტყვა მისცა ლანცუკის, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ხელმეორედ ასამართლებენ. პირველად მას ასამართლებდენ პერემიშლში, სადაც, მიუხედავად უფრო მძიმე ბრალდებებისა და დაინტერესებულ მხარეებისა ცდისა, რომ ჩირქი მოეცხოთ მისთვის ცილისწამების საშუალებით, იგი მაინც გამართლებული იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, რადგან უკანასკნელი დარწმუნდა მის სამართლიანობაში. ყველამ კარგაც იცის, რომ მისი სიტყვები კაბინიეტში გამართულ მიტინგზე პოლონეთში გამეფებულ თეთრი ტერორის შესახებ სრული სიმართლეა, რადგან იმ შენობაში, სადაც მას ეხლა ასამართლებენ, არ-ჩენებში მონაწილეებისათვის გამოტანილი იყო განაჩენი 4 წლის საკატორღო მუშაობის მისჯის შესახებ.

ნახევარი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმად ლანცუკის მიეცა ექვსი წლის კატორღა.

პოლონეთის მემამულეთა ყრილობა

ვარშავა, 11 სექტემბერი. ვარშავაში გაიხსნა სრულიათ პოლონეთის მემამულეთა ყრილობა. ყრილობის თავიერ მიზანს შეადგენს—ბრძოლა მიწის რეფორმის წინააღმდეგ, ამის გამო მოსალოდნელია გახეთქილება ნაციონალურ კავშირში, რომლის ერთი ნაწილი უკმაყოფილოა ნაციონალ-დემოკრატების პოზიციით, რომელიც მათ დაიკავეს სეიმში მიწის რეფორმის განხილვის დროს.

ორი მარკოზი

სერიოზული ოპერაციების წინ

პარიზი, 11 სექტ. როგორც ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ ფეციდან, 11 სექტემბერს დაიწყება სერიოზული ოპერაციები ძლიერი ირტილერიის და მოავალრიცხოვანი საპაერო ძალების დახმარებით. ესპანეთის დირექტორიის მეთაური პრიმო-დე-რივერა ჩავიდა ტეტუანში.

ფრანგების შეტევა

პარიზი. 11 სექტემბერი. როგორც ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ ფეციდან. ფრანგების ჯარებმა დაიწყო შეტევა. რიფები უკან იხევენ ყველა ფრონტებზე; როგორც სჩანს რიფები დიბნენ მოულოდნელი და ძლიერი იერიშების გამო.

საბჭოთა წყობილება და ნოე ჟორდანია

1. საბჭოთა წყობილება და ნოე ჟორდანიას „მარქსიზმი“

ნოე ჟორდანიას შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა საქართველოში. მას კარგად იცნობს ყოველი ეოტათ თუ ბევრათ პოლიტიკურათ მომწიფებული მოქალაქე. მაშ რა საჭიროა კიდევ მის შესახებ წერა? ეს კითხვა შეიძლება უნებლიეთ დაებადოს მკითხველს, რომელსაც გამომუშავებული აქვს განსაზღვრული დამოკიდებულება ნოე ჟორდანიას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწის, მიმართ.

ქართველი მუშა და გლეხი იცნობს ნოე ჟორდანიას, როგორც საბჭოთა წყობილების აქტიურ მოწინააღმდეგეს. ვინ არ იცის, რომ, როდესაც საქართველოში გამეფებული იყო ე. წ. „დემოკრატიული“ (წაიკითხეთ ევროპის იმპერიალისტების გავლენის გამტარებელი) რეჟიმი, მთავრობას სათავეში ედგა ნოე ჟორდანია, რომლის ხელმძღვანელობით სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა ბოლშევიკური მოძრაობის წინააღმდეგ. საჭირო არ არის მოგონება ყველა იმ გმრობისა, რომელიც გამოიჩინა მისმა მთავრობამ კომუნისტებთან ბრძოლაში.

1921 წ. დაიმსხვრა მენშევიკური რეჟიმი საქართველოში. ყოფილი მმართველები დემოკრატიული რესპუბლიკისა გადაბარგდენ ევროპაში. ნოე ჟორდანიას და მის მეგობრებს იარაღი დღემდის არ დაუყრიათ. ისინი კვლავ განაგრძობენ სასტიკ ბრძოლას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ და ოცნებობენ საქართველოში ძველი მთავრობის, ძველი დანგრეული ხელისუფლების აღდგენაზე. ქართული მენშევიზმის ბელადი, რა თქმა უნდა, წინა რიგებშია. ის ხელმძღვანელობს საზღვარგარეთ აგიტაციას საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხოლო [illegible] ...ლოში ზეიარაღებულ ა[illegible] ...ნდიტურ გამოსვ[illegible]

რომ სა[illegible] მარტო ნოე ჟო[illegible]ურ მო-

ლვაწეობის დახასიათებას, მაშინ, რა თქმა უნდა, ზედმეტი იქნებოდა ათასჯერ თქმულის და დაწერილის განმეორება. ჩვენ არ ვფიქრობთ ამაზე შეჩერებას. ჩვენ გვაინტერესებს მთელი რიგი იმ საკითხებისა, რომელსაც სვამს ნოე ჟორდანია ერთ-ერთ თავის წიგნაკში „საბჭოთა წყობილება“. ამ წიგნაკში ავტორი ეხება საბჭოთა წყობილებას, იმ ურთიერთობას, რომელიც შეიქნა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და ცდილობს ყველა ამ საკითხებს მარქსისტულათ გაშუქებას.

ნოე ჟორდანია თავიდანვე სვამს ძირითად საკითხებს. ის ამბობს:

„ბევრს ჯერ კიდევ ვერ შეუგვია საბჭოთა წყობილების სოციალური ბუნება, მისი კლასიური საფუძველი და ისტორიული სარჩული. ვის და რას ემსახურება ის? საიდან მოდის და საითკენ მიიმართება?“ (გვ. 3).

ცოტა ქვეითი ავტორი კიდევ უფრო მოკლეთ და მკაფიოთ სვამს საკითხს:

„რა არის საბჭოთა წყობილება, რეგრესიულია თუ პროგრესიული, უმაღლესი საფეხურია თუ უმდაბლესი, რეაქციონურია თუ რევოლ[illegible]ციონური?“ (გვ. 3,4).

როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიას მიერ დასმული საკითხები ფრიად სერიოზული ხასიათისაა და მოითხოვენ ნათელ პასუხს. ეკვი არ არის, რომ ყოველ პოლიტიკურათ მოაზროვნე ადამიანმა დღეს ამ კითხვებს აუცილებლათ უნდა გასცეს პასუხი. როგორ შეიძლება ამ კითხვებზე პასუხის გაცემა? რა არის ამისათვის საჭირო? მკითხველი იფიქრებს, რომ აუცილებელია გაცნობა **რეალურ** საბჭოთა წყობილებისა და არა იმ წყობილების, რომელსაც საზღვარგარეთ გვიტაცებენ ემიგრანტები, აუცილებელია ობიექტიური შეფასება სათანადო ფაქტებისა, მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარ-

ებისა და სხვ. მკითხველის აზრით ეს ერთად ერთი გზაა ნოე ჟორდანიას მიერ დასმული კითხვების გადასაჭრელათ.

შესდექით! მოისმის ნოე ჟორდანიას ხმა; საკითხის ასე დასმით არ შეიძლება მისი გადაწყვეტა, გვეუბნება ის. რა საჭიროა რეალური საბჭოთა წყობილების გაცნობა, უმჯობესია საზღვარგარეთ გადაიხვეწო და იქ აწარმოო ფილოსოფიური კვლევა-ძიება საბჭოთა სისტემის შესახებ, გარეშე საამისო ფაქტებისა, გარეშე რეალური სინამდვილისა. შეიძლება მკითხველმა არ დაიჯეროს ეს, შეიძლება მან სთქვას, რომ ნოე ჟორდანია ასეთ რამეს არ მოიმახავდაო. ჩვენი მკითხველის დასარწმუნებლათ მოგვყავს თვით ნოეს სიტყვები. ის სწერს, რომ დასმულ კითხვებზე „პასუხის მისაღებათ საჭიროა პირველ ყოვლისა მოშორდე საბჭოთა ურთიერთობის ზედაპირს, მის იდეოლოგიას, მის ლიტერატურას“-ო (გვ. 4).

საბჭოთა რუსეთში დღეს მოემართებიან ყველა ქვეყნების მუშათა დელეგაციები. ჩვენ გვესტუმრა ინგლისის მუშათა დელეგაცია. მის შემდეგ გვეწვივენ იმავე ქვეყნის ქალთა დელეგაცია, საფრანგეთის და ბელგიის მუშათა დელეგაცია. საბჭოთა წყობილების ადგილზე გამოსარკვევათ ჩვენი კავშირი მოიარა გერმანეთის მუშების დელეგაციამ, რომლის უმეტესობას წარმოადგენდენ სოციალ-დემოკრატები.

თურმე ნუ იტყვით, ყველა ეს დელეგატები და მათი გამომგზავნელები სულელები ყოფილან, რადგან მათ ამ გზით არ შეუძლიათ საბჭოთა შესანები სიმართლის გაგება. საჭიროა არა რუსეთში ჩამოსვლა, არამედ საზღვარგარეთ ყოფნა და თეთრგვარდიელთა პრესის ცნობებით დაკმაყოფილება.

მაგრამ თავი გავანებოთ ამას, გავყვეთ ჟორდანიას მსჯელობას. შეიძლება მან თავისი შესანიშნავი მეთოდით გაარკვია დასმული საკითხები? ასე უნდა ვიფიქროთ მით უმეტეს, რომ ნოე ცდილობს მარქსისტულათ იაზროვნოს, მარქსისტული მეთოდით გზა გაიკაფოს აუარებელ ძნელ საკითხების და მოვლენების ლაბირინტში.

* * *

ნოე ჟორდანიას ბევრჯერ გადაუკითხავს მარქსის ნაწერები. ზოგიერთი ადგილები მას თითქმის გაზეპირებული აქვს. მან კარგად იცის მარქსიზმის მთავარი დებულება, რომ ეკონომიკა არის ის საფუძველი, რომელზედაც შენდება ესა თუ ის პოლიტიკური ურთიერთობა. ის ამბობს:

„საწარმოვო ფორმა, საწარმოვო დამოკიდებულება-- აი ის საფუძველი, რომელზედაც შენდება ყოველნაირი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება და მათ შორის ბოლშევიკურიც. მხოლოდ ამ ფორმის გამორკვევა იძლევა გასაღებს ამ წყობილებისას“. (გვ. 5).

ეს დებულება ყოველი მარქსისტისათვის უდაოა. თავისთავად იგულისხმება, რომ მარქსისტ-მკვლევარმა ამ დებულებით „უნდა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ გამოკვლევის დროს. ასე ცდილობს მოიქცეს ნოე ჟორდანიაც. უპირველეს ყოვლისა ის სვამს ძირითად საკითხს, შემდეგ კი ცდილობს წვრილმანი საკითხების გადაჭრას. „რა სახისაა საბჭოთა საწარმოვო ფორმა?“—აი საკითხი, რომლის გადაწყვეტა იძლევა მრავალი სხვა მისგან გამომდინარე კითხვების გადაწყვეტას.

ჩვენ ვიცით ლენინის აზრი ამ კითხვის შესახებ. ეს კარგათ იცის ნოე ჟორდანიამაც. თავის ეპი-ერთ წიგნაკში, რომელიც ლენინმა დასწერა 1918 წ., ის ჩამოთვლის 5 ტიპს საწარმოვო ფორმებისას, რომლებიც არსებობენ რუსეთში ერთმანეთის გვერდით: 1) პატრიარქალური მეურნეობა, 2) წვრილი საქონლის წარმოება, 3) კერძო კაპიტალიზმი, 4) სახელმწიფო კაპიტალიზმი და 5) სოციალიზმი.

ნოე ჟორდანია სულ სხვა შეხედულების არის საბჭოთა წყობილების საწარმოვო ფორმებზე. ის სერიოზული კრიტიკის ღირსადაც კი არ სთვლის ამ დებულებებს. კიდევ მეტი ამას სურს წინააღმდეგობა აღმოაჩინოს მათში. ასე სკამს საკითხს:

„არსებობს სოციალისტური ფორმა? არა, ამას ამბობს თვით ლენინი იქავე, ის სწერს: „სახელწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნიშნავს ხხოლოდ საბჭოთა სურვილს განახორციელოს სოციალიზმი და არა ფაქტს, ვიითომ დღეს არსებული ეკონომიური ურთიერთობა იყოს სოციალისტური“ (გვ. 16, ხაზი ჩვენია. კ. ო.)

აი ეს პაწია ციტატა ლენინიდან საკმაო აღმოჩნდა ძეხუთე საწარმოვო ფორმის—სოციალიზმის გასანიავებლათ. ლენინმა თვითონ აღიარა, რომ რუსეთში სოციალიზმი არ არსებობს; მორჩა და გათავდა. მართალია თუ არა ნოე ჟორდანია? მართლა აღიარა ლენინმა ეს? სწორათ მოიყვანა ავტორმა სათანადო ადგილი ლენინის წიგნაკიდან? რომ დავარღვიოთ ნოე ჟორდანიას ასეთი შეხედულება, ჩვენ იძულებული ვართ მოვიყვანოთ შესაფერი ადგილი, სადაც ლენინი სწერს სოციალისტური საწარმოვო ფორმის შესახებ. აი ეს ადგილი:

„არც ერთ კომუნისტს არ უარუყვია, ვგონებ, ისიც, რომ გამოთქვა „საბჭოთა სოციალისტური რეს. პუბლიკა“ ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების **გადაუყვანელობას** განახორციელოს გადასვლა სოციალიზმზე და არა არსებული ეკონომიური წყობილების სოციალისტურათ აღიარებას. მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა გადასვლა?... ეს სიტყვა, როცა ის ეკონომიკას შეეხება, განა იმას არ ნიშნავს, რომ მოცემულ წყობილებაში მოიპოვება ელემენტები, ნამცეცები, ნაწილები კაპიტალიზმისა და სოციალიზმისა?... **ყველა** აღიარებს, **რომ ეს ასეა.** *) (ხაზი ჩვენია. კ. ო.)

*) Ленин, Новая Экон. политика' Госизд. стр. 37.

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ ეს ციტატა. ლენინი აქ სულ სხვას ამბობს, ვიდრე ჩვენ გადმოგვცემს ნოე ჟორდანია. სიტყვა „решимость“ მან გადათარგმნა როგორც სურვილი (желание). შემდეგ ნოე ჟორდანიამ გამოტოვა ტექსტიდან სიტყვა **გადასვლა** სოციალიზმში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტიური მსჯელობის დროს. მაგრამ რაც მთავარია და აღმაშფოთებელი, ეს ის, რომ მან განზრახ გამოტოვა ის ადგილი, სადაც ლენინი სწერს, რომ სოციალიზმში გადასვლის დროს ეკონომიკაში არის როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის ელემენტები.

როგორც ვხედავთ, ლენინს არასადეს არ უთქვამს, რომ რუსეთში სოციალიზმის ნამცეციც კი მოიპოვება, რომ იქ არ არის სხვა ფორმებს შორის სოციალისტური საწარმოვო ფორმაც. ლენინი მოიქცა როგორც ჭეშმარიტი დიალექტიკოსი, მან გადავიშალა რეალური სინამდვილე, ჭრელი სინამდვილე, სხვადასხვაობა საწარმოვო ფორმებისა გარდამავალ სანაში. ცხადია, რომ მას, როგორც მარქსისტს, არ შეეძლო იმის თქმა, რომ რუსეთში არსებობს მარტო სოციალიზმი ან კაპიტალიზმი. ეს მკვდარი მეტაფიზიკური მსჯელობის ნაყოფი იქნებოდა. რეალური სინამდვილე გარდამავალი ეპოქისა შეიცავს ბრძოლას ძველ და ახალ საწარმოვო ფორმებს შორის. ეს არის და ეს.

ნოე ჟორდანიამ კი საკუთარი დაამახინჯა ლენინის აზრი, ამოაცალა მას ჭეშმარიტი მარქსისტული და დიალექტიური სული. ის ცდილობს თვალები დაუბრმავოს მკითხველებს, მისცეს მათ ყალბი წარმოდგენა ფაქტებზე. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ის შესძლებს ამ გზით მკითხველის მოტყუებას, მისთვის თვალების აბეგვას. ვეკვეთთ, რომ მან შესძლოს თავისი საკუთარი მრეწველის დარწმუნებაც.

ნოე ჟორდანიას დასკვნა ასეთია: რუსეთში სოციალისტური მეურნეობის ნასახიც კი არ არის, მაშასადამე

უქმდება ლენინის მიერ დასახელებული მეხუთე ფორმა. ჩვენ ეხლა არ შეეჩერდებით ამ დებულების კრიტიკაზე. საკვირველია ჯერ ბოლომდის გამოვამეღავნოთ ავტორის „ფილოსოფიური“ დასკვნები საბჭოთა წყობილების შესახებ.

„მიწასთან გაასწორა“ რა მეხუთე საწარმოვო ფორმა (სოციალიზმი), ჟორდანია გადადის მეოთხე ფორმაზე—სახელმწიფო კაპიტალიზმზე.

მას მოყავს ლენინის აზრი სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ. ვნახოთ როგორ საშინლად ამახინჯებს ლენინის აზრს აქაც ჩვენი „მარქსისტი მკლევარი“. ის იღებს შემდეგ ციტატას:

„დღევანდელ პირობებში სახელმწიფო კაპიტალიზმი. იქნებოდა საბჭოთა რესპუბლიკაში ერთი დიდი ნაბიჯი წინ გადადგმული. ჩვენში რომ, მაგალითად, სახელმწიფო კაპიტალიზმი გამაგრდებოდეს, ექვსი თვის ბოლოს უზრუნველ[illegible]ყოფდა სოციალიზმის ფექველ დამკვიდრებას შემდეგი წლისათვის... სახელმწიფო კაპიტალიზმი, მაშასადამე, წარმოადგენს გაცილებით უფრო მაღალ ეკონომიურ ორგანიზაციას, ვიდრე ჩვენა გვაქვს. ის არაერთარ საშიშროებას არ წარმოადგენს იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება მუშების და გლეხების ხელშია“. (გვ. 18, ხაზი ჩვენია. კ. ო.)

ჩვენ იძულებული ვართ მოვიყვანოთ ლენინის ნამდვილი ციტატა, რომ ფარდა ავხადოთ ნოე ჟორდანიას მატყუარობას. ლენინი სწერს:

„სახელმწიფოფარავი კაპიტალიზმი იქნებოდა წინ წადგმული გიგანტიური ნაბიჯი, **თუნდა** (მე განზრახ მოვიყვანე ასეთი ციფრითი მაგალითი, რომ უფრო ცოცხლად მეჩვენებინა ეს) **იმაზე მეტიც** გადაგვესადა, რასაც ახლა ვიხდით, ვინაიდან გაკეთილისთვის ღირს ხარჯის გაწევა, ვინაიდან ეს სასარგებლოა მუშებისათვის, რადგანაც გამარჯვებას უწესრიგობაზე, არეულ-დარეულზე, უგერგილობაზე ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან

ჩვენ მტკიცეთ ვიდექით ჩვენს გადაწყვეტილებაზე და არავითარ დათმობაზე არ მივდიოდით, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ ინგლისის სამთომადნო მუშების წინაშე, რომელთაც მხარს უჭერდა 6 ნახ. მილიონი შეკავშირებული მუშა, პირველათ წამოიჩოქა ინგლისის მთავრობამ.

წითელი პარასკევი შედეგათ მოჰყვა სამთო-მადნო მუშების კავშირს მელიტონელებთან, ტრანსპორტის მუშებთან და რკინისგზელებთან.

ინგლისის ამბები მაგალითი უნდა იყოს თქვენთვის.

საერთო ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ ყველა ქვეყნებში,—ეს არის გადაუდებელი აუცილებლობა, და ეს აუცილებელი საერთო ბრძოლა მით უფრო წარმატებით და მალე იქნება ჩატარებული, რაც ადრე შექმნით თქვენ გერმანიაში მებრძოლ საწარმოო კავშირს, რამდენად უფრო მალე შექმნით გერმანიაში პირობებს პროფკავშირთა საერთაშორისო მთლიანობისათვის.

ამხ. კუკ

ინგლისის სამთა-მადნო მუშათა კავშირის გენერალური მდივანი.

გერმანიის პროფკავშირების ბიუროკრატიის წინააღმდეგ

როცა ინგლისში სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის კონფერენცია პარიზში გარკვეულ პოზიციას დაადგა ინგლისის სამთომადნო ნუშების მიმართ, საფრანგეთის და ბელგიის სამთომადნო მუშებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ ინგლისელ ამხანაგებს. მხოლოდ გერმანიის სამთომადნო მუშათა კავშირის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს აშკარათ ინგლისელებისათვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ.

ზიზღი პროფკავშირების ასეთ ბელადებს, რომლებმაც, ალბათ, კავშირების წევრთა სურვილის წინააღმდეგ, ჩაშალეს საერთაშორისო მუშათა ხოლიდარობა. გერმანიის სამთომადნო მუშების ამოცანაა—და ამაში მათ მხარი უნდა დაუჭირონ გერმანიის ყველა რეგოლიუციონერმა მუშებმა—ბოლო მოუღონ პროფ. მოძრაობის საერთაშორისო, საერთაშორისო [illegible] ტაბით ერთდებიან მწარმოებლ[illegible] მუშების წინააღმდეგ. მუშა[illegible] კლასმაც მათ პასუხი უნდა გაიც[illegible] ასეთივე საერთაშორისო ხასპასუ[illegible] ინტერნაციონალი ხხოლოდ მა[illegible] იქცევა სინამდვილეთ, ის მხოლ[illegible] მაშინ იქნება უძლეველი და ბრ[illegible] ლის უნარის მქონე, როცა რეგ[illegible] ამხანაგებიც ჩვენს გაერთიანებ[illegible] ორგანიზაციებში იქნებიან, [illegible] ჩინეთის, ინდოეთის და აფრ[illegible] მუშებიც ჩვენთან ერთად აღმა[illegible] ვენ ბრძოლის დროშას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნ[illegible] შეერთდით!—ამით თქვენ არაფერ[illegible] დაკარგავთ, ვგრძა თქვენი ბორ[illegible] ლებისა! (მეორე ტაში).

მდგომარეობა ინგლისში

1921 წელს 16 კვირის გმირული ბრძოლის შემდეგ ინგლისის სამთომადნო მუშები დამარცხდნენ, რადგან რეფორმისტული ბელადები იცავდენ თავის სამშობლოს და ღალატობდენ მუშების ინტერესებს. იმ დროს სამთომადნო მუშების დამარცხება მოასწავებდა მთელი ქვეყნის დანარჩენ მუშების დამარცხებას. ჩვენ იძულებული შევიქენით დაგვეღო მაღაროების მეპატრონეებთან ხელშეკრულება 3 წლის ვადით, მაგრამ არ შეგკრთით დავსდევთ ფიცი, ბრძოლა გაგვეგრძელებია. ჩვენ უფრო მეშიდროთ შეკავშირდით, ვიდრე ოდესმე, ჩვეთრიეთ ორგანიზაციაში ყველანი უკანასკნელ კაცამდე, რათა შემდეგი თავდასხმისათვის სავსებით შეიარაღებული ყოფილიყავით.

1924 წელს, მიუხედავათ კრიზისისა და უმუშევრობისა, მიუხედავათ არახელსაყრელ პირობებისა, ჩვენ ბრძოლა გამოუცხადეთ მწარმოებლებს დ მივაღწიეთ სამუშაო ხელფასის მომატებას 12 მილიონ გირვანქა სტერლინგით კვირაში. ეს იყო სამი წლის ინტენსიური მზადების შედეგი.

როცა ბალდვინი სხვადასხვა მანინაციებით („ზინოვიევის წერილი“) აგზავნიდა ინგლისელ ბელადებს, ინგლისელ ბელადებმა ეს ინფორმაციები ბეჭედ ... ...

ნითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა საქონლის მიწოდება სოფლისათვის

მოსკოვი, 12 სექტემბერი. 10 სექტემბერს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების საკითხის განსახილველათ. „ეკონომიჩესკაია, რომ ბაგვისტოში ბამბეული საქონელი პურის დამმზადებელ რეგიონებში შეტანილია სულ 73 პროცენტის რაოდენობით, ლიტონნებიდან შეტანილია მხოლოდ თუჯი და სახ�rავის რკინა 73 პროცენტი. ბურჟალის შეტანის ჯეგმა შესრულებული არ არის განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, ასეთივე მდგომარეობაშია ტყავის შეტანის საკითხიც. ზაქრის მიწოდება ნორმალურად მიმდინარეობს.

შინშნანმა მრეწველობის წარმომადგენლების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ გამომუშავებული გეგმა სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ სისწორით შესრულებულ იქნეს გეგმაში აღნიშნულ ვადებში.

სამეცნიერო აკადემიის 200 წ. თავი

ზოსკოვი

მოსკოვი, 12 სექტ. ლენინგრადიდან ჩამოვიდა ორი საგანგებო მაგრელი დელეგატებით, რომლებიც დაესწრებიან სამეცნიერო აკადემიის ორმეოცეულ დღესასწაულს, საღამოს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ზეიმი სხდომა, რომელზედაც დელეგატებს მიესალმენ საბჭ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით კრასინი და საბჭ. კავშ. ცაკის სახელით სმიდოვიჩი.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია ტროცკისთან

მოსკოვი, 11 სექ. დღეს ინგლისის პარლამენტო დელეგაციამ ინახულა ტროცკი, დელეგატებმა განცხადეს, რომ ისინი ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირში იმ მიზნით, რომ [illegible]ეონ ფაქტებით და არგუმენტებით ინგლისის მრეწველობის და საბჭოთა კავშირის მეურნეობის მჭიდრო თანამშრომლობისათვის საბრძოლველად.

ტროცკიმ განაცხადა: „ჩვენ თითქმის სავსებით გამოვიყენეთ მემკვიდრეობის სახით გადმოცემული ნაციონალიზაციამქნილი მრეწველობა და შეუდექით ახალ მშენებლობას [illegible]ერთო მაშტაბით, რაც უეჭველად [illegible]ოიწვევს უცხოეთის კაპიტალის [illegible]ოსვლას საბჭოთა კავშირში.

[illegible]ვიფიქროთ, რომ ინგლისის კაპიტალის წვლილი ან შეეწყობა, შემცირდება. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ინგლისის [illegible]ის პოლიტიკა, რომელიც [illegible]ის სცდილობს აიძულოს ჩვენი [illegible]ობები მუშაკები კავშირში დაუჭირონ სხვა სახელმწიფოებთან. [illegible] წლების განმავლობაში ჩვენ [illegible] ძლიერი ბაზარი. სწორედ ეხლა აქვთ დრო ჩვენს კონკურენტებს გაამაგრონ თავისი პოზიციები.

დელეგატებმა მთელი რიგი შეკითხვები მისცეს ტროცკის „ნოვოსტოს“ და ამერიკასთან დამოკიდებულების შესახებ.

საუბარი გაგრძელდა ორ საათზე მეტი. ბოლოს დელეგატებმა უსურვეს საბჭოთა კავშირს, რომ ჩქარა იქნეს დამყარებული მჭიდრო თანამშრომლობა ინგლისის მომავალ მუშათა მთავრობასთან.

დელეგაცია საკავშირო ცაკის სხდომაზე

მოსკოვი 12 სექ. 11 სექტემბერს ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია დაესწრო საბჭოთა კავშირის ცაკის სხდომას, რის შემდეგაც დაათვალიერა კრემლი.

საღამოს დელეგაცია დაესწრო მოსკოვის საბჭოს სხდომას.

დელეგაციის წევრებმა საბჭ. კავშირის დელეგაციათა საგენტოს თანამშრომელს განუცხადეს, რომ მათ მიერ შეკრებილი ინფორმაცია წარმოადგენს დიდ ინტერესს ინგლისის მუშათა კლასისათვის.

12 სექტემბერს დელეგაცია მიემგზავრება ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

„გავაკლიეროთ ზეგავლენა“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 12 სექტემბერი. „პრავდა“ მოწინავე წერილში ამ სათაურით წერს:

„ჩვენ უახლოვდებით მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ომის წინადღე დონეს. პროდუქციის შემდეგ [illegible] გაღიდება შესაძლებელი იქნა [illegible] ეხლა ფაბრიკა-ქარხნების [illegible] ბაზის.

[illegible] ჩვენ ეს [illegible] ეს [illegible] ეს [illegible]

სსსრ,
ანუ
ერთიანი ფრონტი

ამსტერდამი... მარსელი...
ნუ ხართ გზების მთარსველი!
ერთ რიგში და ერთ მუკრივად!
ზნის ნაკადი ერთ სხივად!
ერთი რწმენის ლამპარი!
ძარღვიანი ზამბარი!
დაჭიმული ჭაპანი,
ოფლით... სისხლით... ნაბანი!...
შორს მდგალი და ჯაბანი!
რას მიქვია დათმობა?
თუა ჩვენში თანხმობა,
ერთი მკერდით მიწოლა!
ბრძოლა! ბრძოლა და ბრძოლა!...
„მამა-პაპის ანდერძი“,
გავმართოთ ყოფნის ღერძი!
ჩვენ ვართ ცხოვრების თერძი,
მისი მჭრელი, მკერავი,
მთის ძირი, თუ მწვერვალი,
მისი მტკიცედ მჭედელი,
გუშაგები, მეფრენები;
მისი კალატოზები,
მკურნალ-ჯაინოზები,
მისი დოსტაქარები,
მისი ბეჭთა კარები,
მისი ხელისუფლები,
ბედის წოგნის ფურცლები,
მისი მოიგავენი,
მისი მუსაკრავენი,
მისიეე მომღერლები,
მისი მგოსან-ბუ ლები,
სასიამო ჰანგები,
ფაგოტები, ჩანგები,
ნალარები, დაფები,
საკავშირო ძაფები,
ელექტრო მაეთულები,
ხმელებთ აღმართულები,
ახოშრიელი, მაგარი.
ეით ფოლადის ჯაგარი,
რისხვა, თუ დაყვავება,
მ ოთოიოს აყვე ბა...
ვართ თვით უკვდავება;
ად შენაერთები
ი ონი ღმერთები!..

ყოფნის შემოქმედები:
ხრახნილები, ქმედები;
დაჭიმული ღაედები
და მოძრავი ქანები,
ვით გემთ იალქანები,
ჯანყან ისე მსერავი
და გზის ისე მზერავი,
როგორც დღემდი ვერავინ!..

მაშ, ერთ რიგში! ერთ რწმენად!
ერთ ენად და ერთ ს ენად!
სმენაი ბრძოლის გ ...,
ენად შრომის ფიქალის
და ტემპად მანქანების,
ქუჩის აგრაგანების...
სხვებს —განების! განების!
და ბერება დანების!..
მათ რა ძალით, რა ნებით,
ყოფნა ჩვენისთანებით?!
ამას ზხოლოთ იქ ჰპოვენ,
სადაც დაქსაქსულ ... გუბედენ,
სადაც ჩვენი კავშირი
სუსტია და დაშლილი...
სადაც ჩვენი რიგები
მტკიცეა, ვით ბოგები
ქვის მაგარი ბურჯების,—
ფოლადების, თუჯების,—
იქ მტერი სულს ... ლარავ სძრავს
და მგელი ემსგავსის კრავს!
მორჩილია, გამგონი,
ვით უკბილო დრაკონი,
ანჯებ ჩამოკეთილი,
ჯეგბით კეთილი.
და დამყოლი ნებისა,
ამ ხელისუფლებისა!..
მაშ:
ხსუთ!
ხსუთ!
ხსუთ!
მტერებო!!!
თქვენ კი,
შრომის ერებო,
შიმოკრბით ამ კავშირში
ძმებათ ლხინსა, თუ ჭირში!..

ნ. ზომლეთელი.

ა. კ. ეიმხარეგელი კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

მეორე სხდომა

9 სექტემბრის დილის სხდომაზე გრძელდება მოხსენებანი ადგილებიდან.

კოოპერატიული რევიზიის შესახებ.

(მომხსენებელი ამხ. მეგრაბიანი)

კოოპერატიული რევიზია, —ამბობს მომხსენებელი, განირჩევა ჩვეულებრივი ხასიათის რევიზიებისაგან.

კოოპერატიულ რევიზია ამოცანად ისახავს არა მარტო ფორმალურ აქტს, რომლების საშუალებით ხდება კანონიერების და ინსტრუქციების მიხედვით კოოპერატივის მოქმედების შემოწმება, კოოპერატიული რევიზია არის საინსტრუქტორო მუშაობის დაწყებითი სტადია, რომელიც ემყარება კოოპერატივის საქმიანობის შესწავლას და ანალიზს.

ამიტომ დღეს ინსტრუქტორი ერთი და იმავე დროს ინსტრუქტორიც არის და რევიზორიც. აქედან გამომდინარეობს მთელი რიგი პრაქტიკული კითხვებისა, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს კვალიფიკაციურ ინსტრუქტორების შერჩევის საკითხს, სარევიზიო კომისიების მუშაობის გაუმჯობესების და გა ზოგელების საკითხს, ნიშიერთა დატერთვის ნორმების გამომუშავების, დანართ ხარჯების საკითხს, რევიზიის მეთოდებს და სხვას. ამ საკითხთა შორის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია სარევიზიო კომისიების მომზადების საკითხი, რადგან სარევიზიო კომისიების და მიმდინარე სარევიზიო მუშაობის წარმოების გარეშე, ინსტრუქტორების მუშაობა მოუსერხებელია.

მომხსენებლის მიერ აღძრულ საკითხების შესახებ გაიმართა კამათი, რის შემდეგ რეზოლუციის გამოსაშუშავებლად არჩეულ იქმნა კომისია.

მესამე სხდომა

კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები.

კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის მორიგ ამოცანათა შორის მომხსენებელის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია სოფლის კოოპერატივების წევრთა აქტიური მონაწილეობის გაძლიერება კოოპერატიულ მუშაობაში, წევრთა შორის ინტერესის გაძვირება კოოპერატიულ მეურნეობისადმი, მტკიცე გეგმიანი მუშაობის და კოოპერაციის მუშაკთა მკაცრი პასუხისმგებლობა, კოოპერატიული თვითშეგნების ამაღლება წევრებში და პრაქტიკულად მომუშავე ამხანაგებს შორის და სხვა.

მეოთხე სხდომა

კოოპერატივის წევრთა ნივთიერი დაინტერესება

(მომხსენებელი ამხ. ანინი)

კოოპერატივის წევრებისათვის, ამბობს მომხსენებელი, უბრალესობის მინაგება აუცილებელი საბოროა მშრომელი მოსახლეობის ჩამორჩენილი ფენების თვითმოქმედების გასაღვიძებლად და საწევრო მასებთან კავშირის გასაბმელად.

დაინტერესების საუკეთესო ფორმად უხდა ჩაითვალოს პრემიების მიცემა კოოპერატივიდან საქონლის ბეტანისათვის.

ამ ჟამად პრემიების შემოღება შეიძლება ის სოფლის კოოპერატივებში, რომელთაც დამაბაზებული აქვთ მოსახლეობის დიდი ნდობა, და ამავე დროს კარგად მოწყობილი აპარატის პატრონი არიან. საქონლის ნაკლებობის დროს, რეალურ უპირატესობად ჩაითვლება ამა თუ იმ საქონლის გაცემა პირველ რიგში, ან და განსაკუთრებით მხოლოდ წევრებზე.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

საკაიო კამპანია და წევრთა აქტიობის გაცხოველება.

(მომხსენებელი ამხ. მ. დოლიძე).

საკაიო კამპანიის ჩატარება, —ამბობს მომხსენებელი, —მორიგ ამოცანად უნდა ჩაითვალოს. კამპანიის ჩატარება უნდა დაიწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების —ეირნაბულის აკრეფის დროს.

მუშაობა საკაიო კამპანიის ჩასატარებლად უნდა სწარმოებდეს 4 მიმართულებით: 1) უნდა მოყვანილ იქნეს თვითეული წევრის საკაიო ანაბარი დაწესებულ ნორმალურ დონემდე (5 მანეთამდე), 2) უნდა გადიდებულ იქნეს წევრთა რაოდენობა, 3) გაზიდულ იქნეს დამატებითი პაები, 4) ჩაშფული უნდა იქნენ პაის გადამხდელთა ოჯახები კოოპერატივებში შეღავათიან პირობებში.

წევრთა აქტიობის გაძლიერებას, —ამბობს დასასრულ მომხსენებელი, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, რადგან კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობა ვერ ასდის ქვეყნის გაძლიერებულ საქონლის ბრუნვას, რის გამოც ფართო ადგილი რჩება, კერძო კაპიტალის მონაწილეობისათვის ვაჭრობის დარგში. ეს გარემოება ერთი ათად აღიდებს კოოპერაციის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა მოსახერხებელია გახდეს მხოლოდ კოოპერატიულ მასის აქტიური თვითმოქმედების საშუალებით.

დღეს, დილის 12 საათზე,
ვერის ბოტანიკურ ბაღში
წყალში დახრჩობის წინააღმდეგ მებრძოლი
თბილისის საზოგადოება
პუნქტის საზეიმო გახსნა
ზეიმზე მოწვეული არიან ყველა პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები
წყალში დახრჩობის წინააღმდეგ მებრძოლი
თბილისის საზოგადოება.
1—1.

სატყეო მეურნეობა
ტყეების გეგმიანად დამუშავება

მოსკოვში შესდგა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მიწაღმოქმედების სახალხო კომისარიატების სატყეო სამმართველოების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების და ა | კ. ფინსახკომის წარმომადგენლებმაც.

თათბირის მიზანი იყო ცალკე რესპუბლიკების სატყეო მეურნეობის მთელი რიგი საკითხების შეთანხმება და ... ... საერო საკავშირო საკ... ... პოლიტიკის გამომუშავება.

თათბირმა საკავშირო სცნო ცენტრალური საკავშირო საცდელი სადგურის დაარსება; ამ სადგურის მიზანია სატყეო-სტატისტიკური და სატყეო-ეკონომიური მასალების გამოკვლევის და დამუშავების ერთი მთლიანი მეთოდის გამომუშავება.

